

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში თქვენთვის სასურველ პროგრამაზე **2017-18** სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობის საშუალებით გადმოსვლისათვის უნდა გაიაროთ შემდეგი ეტაპები

1. **2017 წლის 25 ივლისიდან 17 აგვისტოს 18:00 სთ-მდე** დარეგისტრირდით საშემოდგომო მობილობაში მონაწილეობის მისაღებად www.students.eqe.ge -ზე

- მობილობის მსურველად ონლაინ დარეგისტრირება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში (იხ. ვადები www.eqe.ge -ზე)
- ინფორმაცია მობილობის შესახებ განთავსებულია, როგორც ჩვენს საიტზე www.art.edu.ge , ისე ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საიტზე www.eqe.ge
- მობილობის მსურველად რეგისტრაციისას, თქვენთვის სასურველ პროგრამაზე უნდა იყოს გამოცხადებული ვაკანტური ადგილები, ამის თაობაზე ინფორმაციას გაეცნობით რეგისტრაციის დროს. იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრაციისას თქვენთვის სასურველი პროგრამა ვერ ნახეთ ან ვერ მონიშნეთ ეს იმას ნიშნავს, რომ შესაბამის პროგრამაზე ვაკანტური ადგილები არ არის. (იხ. მობილობის ვიდეო ინსტრუქცია <http://www.youtube.com/watch?v=Zi9GpTIY3XE&feature=youtu.be>).

2. მას შემდეგ რაც წარმატებით გაივლით რეგისტრაციას მობილობის პორტალზე ელოდებით შეტყობინებას, თქვენს მიერ მითითებულ მობილურის ნომერზე, შემოსულ შეტყობინებაში მითითებული იქნება მოგეცათ თუ არა უფლება განახორციელოდ მობილობა თქვენთვის სასურველ პროგრამაზე, რომლის შესაბამისადაც უნდა მიმართოთ უმაღლეს სასწავლებელს (თსსა აკადემია).

3. შეტყობინების მიღების შემდეგ თქვენ სასწრაფოდ უნდა მიმართოთ უმაღლეს სასწავლებელს (**2017 წლის 21 აგვისტოდან 30 აგვისტოს ჩათვლით**) კანცელარიაში განცხადებით, ასევე წარადგინოთ თქვენი ნიშნების ფურცელი, აღებული კრედიტების მითითებით თქვენი უმაღლესი სასწავლებლიდან.

4. წარმოდგენილი ნიშნების ფურცლის და განცხადების საფუძველზე ფაკულტეტის ხარისხის სამსახური განიხილავს თქვენი მობილობით გადმოსვლის საკითხს. თქვენ მოგეცემათ უფლება გაიაროთ კონკურსი გამოცდის სახით (**2017 წლის 31 აგვისტოდან 5 სექტემბრის ჩათვლით**), რომელიც სხვადასხვა ფორმისაა გამომდინარე პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობიდან.

5. გადმოსასვლელი გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში თქვენ უფლება მოგეცემათ სწავლა განაგრძოდ თსს აკადემიის სასურველ პროგრამაზე დადგენილი შესაბამისობის მიხედვით შესაბამის სემესტრში.

შენიშვნა: სახელმწიფო გრანტი მიზნულია სტუდენტზე.

სტუდენს შეუძლია უარი თქვას მობილობაზე ბრძანების გამოცემამდე.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით

E-mail: eka.asitashvili@art.edu.ge

ან ცხელ ხაზზე : **2 93 68 89**